საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-6 მუხლის:

ა) მე-17 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-18 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 18^1 და 18^2 პუნქტები:

„18^1. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების ლიცენზია.

18^2. ბუნებრივი გაზის გადაცემის ლიცენზია.“;

გ) მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^1–19^3 პუნქტები:

„19^1. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირების ლიცენზია.

19^2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირების ლიცენზია.

19^3. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირების ლიცენზია.“.

2. 26^4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ელექტროსადგურის არსებული სიმძლავრის გაზრდის, აგრეთვე ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს შემდეგ ობიექტურ, გამჭვირვალე, სამართლებრივად დასაბუთებულ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

ა) ელექტროსადგურის უსაფრთხოება და დაცულობა, ელექტროენერგეტიკული სისტემის საერთო უსაფრთხოებასა და დაცულობაზე მისი გავლენის ჩათვლით;

ბ) საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;

გ) გარემოს დაცვა;

დ) მიწის გამოყენება და განლაგება;

ე) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიწის გამოყენება;

ვ) ენერგოეფექტურობა;

ზ) ენერგიის პირველადი წყაროს ბუნება;

თ) არსებული ან პოტენციური ელექტროენერგიის მწარმოებლის მახასიათებლები – ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობები;

ი) ელექტროენერგეტიკის სექტორში საჯარო მომსახურების ვალდებულებებთან დაკავშირებულ

ზომებთან შესაბამისობა, სადაც ეს რელევანტურია;

კ) ელექტროსადგურის სიმძლავრის წვლილი განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ზრდის საერთო სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაში, რომლებიც დადგენილია ქვეყანაში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულების გათვალისწინებით;

ლ) ელექტროსადგურის წვლილი გამონაბოლქვის შემცირებაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

20 დეკემბერი 2019 წ.

N5647-რს